დანართი N1

დამტკიცებულია სსიპ „საზოგადოებრივიმაუწყებლის აჭარისტელევიზიისადარადიოს" დირექტორის 2020 წლის 04 მარტის N 02-09/26 ბრძანებით

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" აცხადებს კონკურსს აუდიოვიზუალური ნაწარმოებების - ანიმაციის სამჯერადი საჯარო გადაცემის (სატელევიზიო ეთერის მეშვეობით) ლიცენზიის შესყიდვაზე

1. მულტსერიალი

ერთი საათის ლიცენზიის ღირებულება - 1600 (ათას ექვსასი) ლარი

კრიტერიუმები:

- ჟანრი: შემეცნებითი, სათავგადასავლო, ფანტასტიკა.
- მულტსერიალი : თითოეული სერიის ხანგრძლივობა 15-30 წუთი;
- გადაღების თარიღი: 2010-2019 წწ.
- გახმოვანებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ორ ხმაში.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია წარმოადგინოს:

- განცხადება მაუწყებლის დირექტორის (გიორგი კოხრეიძე) სახელზე, კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ქვემოთ მითითებული დოკუმენტები/მასალა.
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან.
- ქართულ ენაზე, ორ ხმაში გამოხმოვანების ნიმუში. ნიმუში წარმოდგენილი უნდა იყოს მატერიალური ფორმის CD დისკით ან/და ელ.ფოსტის მეშვეობით ან/და განთავსებული უნდა იყოს ინტერნეტ სივრცეში და კომისიას უნდა ჰქონდეს მისი ნახვის/მოსმენის შესაძლებლობა(ინტერნეტ მისამართი მიეთითება განცხადებაში).
- არანაკლებ 45 (ორმოცდახუთი) სააათის საერთო ხანგრძლივობის მულტსერიალი, რომლიდანაც მაუწყებელს ექნება შესაძლებლობა აირჩიოს სასურველი მულტსერიალი

- შემოთავაზებული აუდიოვიზუალური ნაწარმოებების სატელევიზიო ეთერში **2020 წლის 01 აპრილიდან 2021 წლის 01 აპრილამდე სამჯერადი საჯარო** გაცემის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს აღნიშნული ლიცენზიის გაცემის უფლება მოპოვებული არ აქვს განცხადების წარმოდგენის მომენტისათვის, იგი ვალდებული იქნება ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში მულტსერიალი მოწოდების მომენტისათვის წარმოადგინოს შესაბამისი ლიცენზია.

კონკურსი მონაწილეობა შეუძლია დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

კონკურსში შესაძლებელია გმაოვლინდეს ერთზე მეტი გამარჯვებული, თუ ერთზე მეტი განმცხადებელი დააკმაყფილებს საკონკურსო პირობებს.
კონკურსში რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენისას, საკონკურსო კომისია აწარმოებს გამარჯვებულებთან მოლაპარაკებას კონკურსში მონაწილეების მიერ შემოთავაზებული პროდუქციის/მომსახურების შერჩევის მიზნით. პროდუქციის/მომსახურების შერჩევისას კომისია ხელმძღვანელობს მაუწყებლის ინტერესების, მათ შორის, ფინანსური რესურსის გათვალისწინებით;

განცხადების წარმოდგენის ვადები:
განცხადების მიღების დაწყების თარიღი: 2020 წლის 5 მარტი.
განცხადების მიღების დასრულების თარიღი: 2020 წლის 15 მარტი (დღის 24:00 საათი)

კონკურსის ეტაპები:

ა) კონკურსის გამოცხადება:

ბ) გაცხადების წარდგენა:

გ) განცხადების დასაშვებობის შემოწმება:

დ) გამარჯვებულის გამოვლენა

ე)გამარჯვებულთან მოლაპარაკების წარმოება

ვ) ხელშეკრულების გაფორმება

განაცხადის წარდგენის წესი:
1.განაცხადი შედგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. თუ განაცხადი ან მასზე დართული დოკუმენტაცია შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, განმცხადებელი ვალდებულია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს განაცხადის მიღების საერთო ვადას, წარადგინოს განაცხადის ან მასზე დართული დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.
2. განაცხადი კომისიას წარედგინება მაუწყებლის იურიდიულ მისამართზე - ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის #41 ან ელექტრონულ ფოსტაზე konkursi@ajaratv.ge გაგზავნის გზით.
3. ელექტრონული ფორმით განაცხადის მიღების თარიღად და დროდ ითვლება მისი გაგზავნის თარიღი და დრო, რომელიც მითითებულია ელექტრონულ ფოსტაზე. განაცხადი მიღებულად არ ითვლება, თუ განმცხადებელს არ დაუბრუნდა შეტყობინება, იმის შესახებ, რომ დოკუმენტები მიღებულ იქნა და შესაძლებელია მისი წაკითხვა.

საკონტაქტო პირი:
ინგა გოგოლიშვილი
ტელ:591980520